ცვლილება-დამატებები შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენის“ მომსახურებით სარგებლობის პირობებში

ვებ გვერდზე www.unicard.ge განთავსებული უნივერსალური დაგროვების ბარათით, „უნიქარდით“ მომსახურების სარგებლობის პირობებში (შემდგომში უნიქარდის ხელშეკრულება), ბარათის მფლობელთან ხელშეკრულების (შემდგომში ხელშეკრულება) მე-11 მუხლის განსაზღვრული წესით, შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილება-დამატებების შეტანას:

1) უნიქარდის ხელშეკრულების პირველი მუხლის (ტერმინთა განმარტებები) 1.23. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ბ) პასიური ანგარიში - ბარათის ანგარიში, რომელზეც, დაგროვების ტიპის საბარათე ოპერაციები არ განხორციელებულა ბარათის მფლობელის მიერ ბოლო საბარათე ოპერაციიდან **6 (ექვსი)** თვის განმავლობაში.“

2) უნიქარდის ხელშეკრულების მე–8 მუხლის 8.1. პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„თ. პასიური ანგარიშიდან, რომელზეც დაგროვების ტიპის საბარათე ოპერაციები არ წარმოებულა ძირითადი და/ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ უკანასკნელად/ბოლოს განხორციელებული დაგროვების ტიპის საბარათე ოპერაციიდან **6 (ექვსი)** თვის განმავლობაში;“

ვაჟა ფშაველას გამზ. N71, თბილისი 0186, საქართველო
+99532 2 555 222
info@unicard.ge